# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 28

2015 წ. "01" 09

ქ.თბილისი

### შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25 -ე მუხლის მე-4 პუნქტისა $30^1$ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | პროფესიული განათლების საფეხური | ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შემფასებელი | შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020453 | 137 | V | 50 |
| 2 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254 | 131 | V | 100 |
| 3 | საბაჟო საქმის სპეციალისტი | საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020366 | 147 | V | 65 |
| 4 | სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი | სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040778 | 109 | IV | 60 |

2.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე